

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის
ოქმი: 19

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2019 წლის 10 დეკემბერს, 11:00 სთ–ზე.

ამოცანები:

- ქსს-ების ევოლუციასთან დაკავშირებით მიმდინარე ინიციატივების წარდგენა;
- საქართველოს ქსს-ს თვით-შეფასების შედეგების წარდგენა;
- საქართველოს ქსს-ს გარდამავალი სამოქმედო გეგმის სტატუსის წარდგენა;
- კონსულტანტების მხრიდან სამომავლო მხარდაჭერის (ონლაინ რეჟიმში) საჭიროებების განსაზღვრა.

ესწრებოდნენ:

<i>ტიმ კლერი</i>	EHG-ის კონსულტანტი
<i>სანია მატოვიჩი</i>	EHG-ის კონსულტანტი
<i>გოჩა გაბოძე</i>	ასოციაცია „ბროწეული“, აღმასრულებელი დირექტორი
<i>მაკა დანელია</i>	გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი
<i>ია ყამარაული</i>	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
<i>თეა პეტრიაშვილი</i>	ა/ო „ახალი გზა“
<i>ნინო ბადრიძე</i>	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი, ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგე
<i>ნატალია ზაქარეიშვილი</i>	გაეროს აივ/შიდსის თემატური ჯგუფი - გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამების ანალიტიკოსი, პასკ-ის წევრი
<i>ნინო წერეთელი</i>	საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი – თანადგომა, აღმასრულებელი დირექტორი, პასკ-ის წევრი
<i>კახა კვაშილავა</i>	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, აღმასრულებელი დირექტორი
<i>ირინა გრძელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
<i>ნათია ხონელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი

პოლიტიკის და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის მე-19 შეხვედრა გახსნა **ქ-ნმა ირინა გრძელიძემ**, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა. მან დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მონაწილეობისათვის და წარუდგინა მათ EHG-ის კონსულტანტები: ბ-ნი ტიმ კლერი და ქ-ნი სანია მატოვიჩი. ისინი საკონსულტაციო მომსახურებას უწევენ საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს გარდამავალი პერიოდისთვის მზადების პროცესში. მათ მიერ შემუშავდა ქსს-ს გარდამავალი პერიოდის გეგმა, თანდართული სამოქმედო გეგმით, ყველა დოკუმენტის განხილულ იქნა პასკ-ის ფორმატში და დამტკიცდა საბჭოს მიერ. ქ-ნმა ირინამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შემუშავებული გეგმა ცოცხალ დოკუმენტს წარმოადგენს და მისი გადახედვა ყოველწლიურად მოხდება. კონსულტანტების მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში საზედამხედველო კომიტეტთან ჩატარებული შეხვედრის ფარგლებში უკვე მოხდა სამოქმედო გეგმის გადახედვა და განახლება. ქ-ნმა ირინამ დამსწრეებს გააცნო შეხვედრის მიზანი: ქსს გარდამავალი პერიოდის განახლებული სამოქმედო გეგმის წარდგენა, საკოორდინაციო საბჭოს ევოლუციასთან დაკავშირებით მიმდინარე ინიციატივების, ასევე ქსს-ს თვითშეფასების შედეგების გაცნობა. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დამსწრეებს და სიტყვა გადასცა კონსულტანტებს.

ბ-ნი ტიმ კლერის თხოვნით ყველა მონაწილემ მოკლედ წარადგინა თავი.

ბ-ნმა ტიმმა შეხვედრის ძირითადად ნაწილზე გადასვლამდე გააკეთა მოკლე შენიშვნა: საკონსულტაციო სამუშაოები დაიწყო 2016 წელს, იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს მალე დაუმთავრდებოდა გლობალური ფონდის მხარდაჭერა. თუმცა დღეისათვის ცნობილია, რომ GF გრანტები მინიმუმ 2025 წლამდე გაგრძელდება. შემდეგ მან გააცნო დამსწრეებს მიმდინარე შეხვედრაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალი: (1) ქსს-ების ევოლუციასთან დაკავშირებული ინიციატივები; (2) საქართველოს ქსს-ს თვითშეფასების შედეგები; (3) საქართველოს ქსს-ს გარდამავალი სამოქმედო გეგმა და (4) ტექნიკური დახმარების სამომავლო საჭიროებები. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე არაფორმალური დისკუსიისგან განსხვავებით, მომდევნო დღეს, საბჭოს სხდომაზე უფრო ფორმალურად მოხდებოდა ყველა ამ საკითხის წარდგენა.

ბ-მა ტიმმა მიაწოდა დამსწრეებს ინფორმაცია ქსს-ს ევოლუციასთან დაკავშირებით: ეს პროცესი 2016 წელს დაიწყო, თუმცა იმ დროისთვის არ იყო ცნობილი ევოლუციის ინიციატივის სახელით. კონსულტანტებმა მუშაობა GIZ-სა და EHG-ის მხარდაჭერით დაიწყეს, 5 ქვეყნის ქსს-ების შეფასებით, თუ რა იყო მათი საჭიროებები და რა გზით უნდა მომხდარიყო მათი განვითარება. ეს ხუთი ქვეყანა იყო: საქართველო, მოლდოვა, ეთიოპია, გვინეა და განა. აღნიშნული კვლევის შედეგები წარედგინა გლობალური ფონდის საბჭოს შენევაში. მთავარი შედეგი იყო ის, რომ ყველა საბჭო განსხვავებულ მდგომარეობაში იყო განვითარების კუთხით და დადგა დღის წესრიგში საბჭოების ევოლუციის საკითხი. ასევე საჭირო იყო მათი განვითარების და ფუნქციონალური თვალსაზრისით დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. გასულ წელს გლობალურმა ფონდმა ქსს-ების ევოლუციის ინიციატივის პილოტირება დაიწყო 18 ქვეყანაში (15 გლობალური ფონდის და 3 GIZ-ის მხარდაჭერით). ევოლუციის ინიციატივა განიხილავს ქსს-ების ოთხ მიმართულებას: 1)

ფუნქციონირებას, (2) ზედამხედველობას, (3) კავშირებს და (4) სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. გასულ წელს მაროკოში გამართულ კონფერენციაზე პილოტზე სამუშაოდ მოწვეული იყო არაერთი ორგანიზაცია და განიხილავდნენ თუ როგორ უნდა წარმართულიყო ევოლუციის ინიციატივების განხორციელების პროცესი. კონფერენციაზე ცალკე სესია მიემდგვნა აღნიშნულ 5 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების წარდგენას. ბ-ნმა თიმმა მიმოიხილა კვლევის შედეგები. მისი თქმით, საქართველო ამ ქვეყნებს შორის ბრწყინვალე ვარსკვლავი აღმოჩნდა და მადლობა გადაუხადა ყველა დაინტერესებულ მხარეს პროცესებში მონაწილეობისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ მათი საკონსულტაციო სამუშაოების დასრულებისთანავე, 2020 წლის აპრილში, გაიმართება დასკვნითი სემინარი, სადაც ისურვებდა საქართველოს წარმომადგენლების დასწრებას და ამ დიდი წარმატების გაზიარებას. ბ-ნმა ტიმმა სიტყვა გადასცა ქ-ნ სანია მატოვიჩს ქსს-ების ევოლუციის მიმდინარე ინიციატივებზე სასაუბროდ.

ქ-ნმა სანია მატოვიჩმა ისაუბრა გლობალური ფონდის ბოლოდროინდელ ინიციატივებზე ქსს-ების ევოლუციასთან დაკავშირებით: GIZ-ის მიერ ჩატარებული ქსს ინტეგრაციის კვლევის საფუძველზე, 2018 წლის სექტემბერში გლობალურმა ფონდმა წამოიწყო ქსს-ების ევოლუციის ინიციატივა. საწყის შეფასება გაკეთდა 18 ქვეყანაში. გამოყენებულ იქნა საკმაოდ მოცულობითი კითხვარი ქსს-ების ფუნქციონირების, საზედამხედველო როლის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობის სხვა საკოორდინაციო პლატფორმებთან კავშირების და ზოგადად ქვეყნის ქსს-ს მთლიან ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრაციის შესაფასებლად. 10 თვის განმავლობაში, გლობალური ფონდი საკონსულტაციო კომპანიებისა და გუნდების მეშვეობით ტექნიკური დახმარებას უწევდა ამ 18 ქვეყანას ოთხივე მიმართულებით. გაწეული ტექნიკური დახმარების შესაფასებლად გლობალურმა ფონდმა 2019 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩაატარა საბოლოო შეფასება. ყველაზე მეტი პროგრესი ორმა კომპონენტმა აჩვენა, კერძოდ, ზედამხედველობამ და კავშირებმა. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით, იყო წინსვლა მათ წარმომადგენლობებთან კომუნიკაციის კუთხით, თუმცა ნაკლებად მათი მნიშვნელოვანი ჩართულობის მხრივ. შეფასების შედეგების საფუძველზე გლობალურმა ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება ამ ინიციატივის გავრცობის თაობაზე დამატებით 115 ქვეყანაში. ეს ინიციატივა 2020 წლიდან დაიწყება 90 ქვეყანაში. მალე გახდება ცნობილი, თუ რომელი ქვეყნები იქნება მოცული და რა სახის მხარდაჭერით. ახლა, როდესაც გლობალურ ფონდს დიფერენცირებული მიდგომა აქვს ქსს-ების ფუნქციონირებაზე, გაწეული ტექნიკური დახმარებაც ქსს-ს ფუნქციონირების სიმწიფეზე იქნება დამოკიდებული. განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ქსს განიხილება, როგორც სტრატეგიული ქსს და ამ განვითარების შესაბამის ტექნიკურ დახმარებას მიიღებს. 2020 წლიდან კონსულტანტებს მეტი ინფორმაცია ექნებათ აღნიშნული ინიციატივების ამოქმედებასთან დაკავშირებით და შესაბამისად მოგვაწვდიან ჩვენ. ქ-ნმა სანიამ აღნიშნა, რომ ისინი გააგრძელებენ ადვოკატირებას, რომ საქართველოს ქსს გამოყენებულ იქნას როგორც როლური მოდელი ყველა ამ მიმდინარე ინიციატივებში.

ბ-ნმა გოჩა გაბოძემ გააკეთა კომენტარი და ხაზი გაუსვა საქართველოს ქსს-ს მიერ გაწეული სამუშაოს მნიშვნელობას ქვეყნისათვის. მიუხედავად ამისა, მისი აზრით არიან ჯგუფები,

რომლებიც პროცესების მიღმა რჩებიან და მნიშვნელოვანია ქსს-ში მათი წარმომადგენლობის დამატება. საკითხია ეხება ტრანს* ადამიანებს, რომლებიც აივ-ის თვალსაზრისით მეტად მოწყვლად პოპულაციას წარმოადგენენ და ასევე ახალგაზრდა სარისკო პოპულაციები, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და აქვთ მაღალი სარისკო ქცევები. ბ-ნი გოჩა თვლის, რომ მნიშვნელოვანია ამ თემების წარმომადგენლების გაწევრიანება ქსს-ში. მეორე საკითხი, რომელიც მან აღნიშნა ეხება თემების წარმომადგენლების შესაძლებლობებსა და კვალიფიკაციას. მისი აზრით საჭიროა თემის წარმომადგენლების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ ადეკვატურად შეძლონ თავიანთი საჭიროებების წარმოდგენა და დაცვა საბჭოში.

ბ-ნმა ტიმმა უპასუხა, რომ რა თქმა უნდა, უნდა განიხილებოდეს ტრანს* ადამიანებისა და სარისკო ქცევის ახალგაზრდების რისკები და საჭიროებები, ასევე მათი წარმომადგენლობა ქსს-ში, თუმცა ამ პროცესებს საფუძვლად უნდა ედოს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სურათი. ქსს-ს მართვის სახელმძღვანელო განსაზღვრას ქსს-ში სათემო წარმომადგენლების წევრობის საკითხს ეპიდემიოლოგიური მონაცემების შესაბამისად. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ბ-ნი ტიმი მყარ რეკომენდაციას უწევს საკითხის ჯერ სტრატეგიულ გეგმაში ასახვისა და შემდგომ ქსს-ში ასეთი წარმომადგენლების გაწევრიანების საკითხს.

ბ-ნმა გოჩამ კვლავ აღნიშნა, რომ ტრანს* ადამიანებთან დაკავშირებით მტკიცებულების მოპოვება ძალიან რთულია, რადგან ქვეყანაში არ არის დადგენილი მათი სავარაუდო ზომაც კი. მისი აზრით, გლობალ ფონდს გარკვეულ მითითებებს უნდა აძლევდეს საქართველოს მთავრობას ამ პოპულაციაში სავარაუდო ზომის შეფასების კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ტიმმა ასევე გააკეთა კომენტარი თემის წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით. ქსს ევოლუციის ინიციატივები შესაძლებლობათა განვითარებას გარკვეულ აქტივობებს ითვალისწინებს საჭიროებების მიხედვით, მაგრამ ეს ძირითადად ეხება მათ ურთიერთობას თავიანთ წარმომადგენლობებთან.

ქ-ნმა ნათია ხონელიძემ, საბჭოს ადმინისტრაციულმა ასისტენტმა, კომენტარი გააკეთა საბჭოში სათემო წარმომადგენლების წევრობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ახლახან მოხდა ქსს-ს წევრობის განახლება და ტრანს* წარმომადგენლის გაწევრიანება საბჭოში უკვე გათვალისწინებულია.

შემდეგ **ბ-ნი ტიმი** გადავიდა დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე და დამსწრეებს წარუდგინა ქსს-ს თვითშეფასების შედეგები. ეს უკანასკნელი იყო ქვეყნის მიერ მოთხოვნილი ტექნიკური დახმარების ნაწილი. კონსულტანტებმა ქსს-ები ევოლუციის ინიციატივის საბაზისო შეფასების კითხვარზე დაფუძნებით, შეადგინეს 20-კითხვიანი კითხვარი. გასულ კვირას ეს კითხვარი დაეგზავნათ საქართველოს ქსს-ს ამჟამინდელ წევრებს (სულ 29). კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, წევრებს ეთხოვათ პასუხების გადაგზავნა უშუალოდ კონსულტანტებთან. კონსულტანტებმა ჯამში 16 პასუხი მიიღეს. კითხვარი მოიცავდა ზოგად თემებს, როგორცაა ზედამხედველობა, რესურსების მობილიზება, სხვა საკოორდინაციო

უწყებებთან კავშირები, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და ქსს-ს ფუნქციონირება, ქვეკომიტეტებისა და სამდივნოს ჩათვლით, ასევე ინტერესთა კონფლიქტის საკითხების დაცვას. საქართველოს ქსს-მ მიიღო საკმაოდ მაღალი შეფასება, მაგალითად, 1-დან 10-მდე სკალის გამოყენებით, სადაც ათი იყო საუკეთესო ქულა, პასუხები უმეტესად ცხრა ან ათი იყო. მართალია იყო ერთეული განსხვავებული შედეგები, თუმცა საერთო შეფასება ამას გავლენა არ უქონია. შეფასების შედეგების თანახმად, გაუმჯობესება შესაძლოა საჭირო იყოს ისეთ სფეროებში, როგორცაა რესურსების მობილიზება და ლიდერობა. ყველაზე მაღალი შეფასება ჰქონდა 2 სფეროს - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასა და სამდივნოს ფუნქციონირებას. თვითშეფასების ჩატარების მიზანი იყო შესაბამისი შესაძლებლობების განვითარების გეგმის შემუშავება, მაგრამ მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დღის წესრიგში ასეთის საჭიროება არ დგას.

ქ-ნმა ნინო წერეთელმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“-ს დირექტორმა, იკითხა, იყო თუ არა კითხვარში შეკითხვა ქსს-ს მდგრადობასთან დაკავშირებით. როგორი იყო ქსს-ს წევრების დამოკიდებულება საბჭოს მდგრადობასთან დაკავშირებით?

ბ-ნმა ტიმმა უპასუხა, რომ კითხვარში ამ ფორმულირებით შეკითხვა არ ყოფილა, თუმცა რესურსების მობილიზების შეკითხვა ირიბად უკავშირდებოდა მდგრადობას. შემდეგ მან ისაუბრა კვლევაზე, რომელიც აფასებდა ქსს-ების მდგრადობას გარკვეულ ქვეყნებში, სადაც ცხრა ქვეყნიდან მხოლოდ ერთ მათგანში მოხდა საბჭოს ფუნქციონირების შენარჩუნება გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ. საქართველოში სიტუაცია განსხვავებულია, არსებობს მთავრობის #220-ე დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ქსს აღიარებულია, როგორც ეროვნული საკოორდინაციო ორგანო. მან ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნების უმეტესობაში ქსს არ არის კანონიერად აღიარებული ორგანო.

ქ-ნმა სანია მატოვიჩმა ასევე განმარტა, რომ ხშირ შემთხვევაში, გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ საბჭოები არ იყვნენ ინტეგრირებულნი ჯანმრთელობის ერთიან სისტემაში. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გლობალურმა ფონდმა დაიწყო ევოლუციის ინიციატივების განხორციელება. ამასთან, მან ხაზი გაუსვა გარდამავალი პერიოდისთვის მზადების დროულად დაწყების მნიშვნელობას.

ბ-ნმა ტიმმა ასევე აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში საბჭოები შეიქმნა მხოლოდ გლობალური გრანტების მართვის მიზნით, ისინი არასდროს ყოფილან ინტეგრირებულნი ჯანმრთელობის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო სტრუქტურაში და ფონდის გასვლის შემდეგ მათი შენარჩუნების საჭიროება არც დამდგარა. მდგრადობის საკითხებზე მსჯელობისას, გლობალური ფონდი აცნობიერებს სამოქალაქო საზოგადოებაში ჩადებულ უზარმაზარ ინვესტიციას. ამ მიმართულებით შედეგები ბევრ ქვეყანაში არც თუ ისე კარგი იყო. გლობალური ფონდი აღიარებს ამ შეცდომას და ამჟამად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქსს-ების მდგრადობის საკითხს. ბ-ნმა ტიმმა სიტყვა გადასცა ქ-ნ სანიას, რომელმაც დამსწრეებს წარუდგინა საქართველოს ქსს-ს გარდამავალი სამოქმედო გეგმა.

ქ-ნმა სანია მატოვიჩმა განმარტა, რომ სამოქმედო გეგმა ეხება თავად ქსს-ს გარდამავალ პერიოდს და არა პროგრამულ ნაწილს. მან მაღლობა გადაუხადა კომიტეტის წევრებს ქსს-ს

გარდამავალი პერიოდის გეგმისა და თანმხლები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შეტანილი წვლილისათვის. 2019 წლის იანვარში ორივე დოკუმენტი დამტკიცდა საბჭოს მიერ და ისინი წარმოადგენენ ცოცხალ დოკუმენტებს, რაც ნიშნავს, რომ მასში მოცემულია მიმდინარე აქტივობების და მათი გადახედვა/განახლდება მოხდება ყოველწლიურად. მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის ბოლო განახლება მოხდა გასულ კვირას საზედამხედველო კომიტეტთან შეხვედრის დროს და მოკლედ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ეს განახლებები. გეგმაში 6 ძირითადი ამოცანაა მოცემული: (1) *ქსს გარდამავალი პერიოდის საჭიროების შესახებ ქსს წევრებისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების ცნობიერების გაღრმავება* - მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალი შეხვედრა, გაიმართა დისკუსიები ქსს-ს გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით, კონსულტანტების საქართველოში ვიზიტების დროს ისინი გვიზიარებდნენ აღნიშნულ საკითხებში სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ამ ამოცანის აქტივობები მიმდინარეა და გაგრძელდება საჭიროების მიხედვით. პასუხისმგებლობა გადანაწილებულია EHG კონსულტანტებსა (ონლაინ რეჟიმში 2020 წლის აპრილამდე) და პასკ-ს შორის; (2) *გარდამავალი პერიოდისთვის ქსს-ს არსებული სტრუქტურის გაძლიერება* - განახლდა პასკ-ისა და საზედამხედველო კომიტეტის კომპეტენციათა სფეროს დოკუმენტები და აისახა გეგმით გათვალისწინებული ცვლილებები; ამჟამად მიმდინარეობს სამდივნოს კომპეტენციების სფეროს დოკუმენტისა და საბჭოს წევრობის განახლება. მომავალში თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებით, ყველა ამ დოკუმენტს დასჭირდება ხელახალი რევიზია და შესაბამისი ცვლილება, ახალი როლებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად ასახვის მიზნით; (3) *ქსს-ს შესაძლებლობების განვითარება, რათა ზედამხედველობა გაუწიოს პროგრამულ გარდამავალ პერიოდს და განახორციელოს აუცილებელი ნაბიჯები საკუთარი ევოლუციისთვის* - ქსს-ს თვითშეფასება უკვე ჩატარდა და საჭიროების შემთხვევაში მომავალში შეიძლება განმეორდეს. საბჭოს აქვს საორიენტაციო პაკეტი, რომლებიც საჭიროებს პერიოდულ განახლებას. ორიენტაციასთან დაკავშირებული საჭიროებების განხილვა დამატებით მოხდება საბჭოს ხვალინდელ შეხვედრაზე. კონსულტანტები ასევე იმუშავენ საორიენტაციო პაკეტების განახლებაზე. (4) *არსებული მართვისა და სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება და/ან განახლება ქსს-ს შესაძლო გაფართოებულ როლისა და ცვლილებების შესაბამისად* - გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული ყველა ცვლილება უნდა აისახოს შესაბამის იურიდიულ და მმართველ დოკუმენტებში. მიმდინარე ტექნიკური დახმარების პერიოდში, კონსულტანტებმა განახლეს ქსს-ს მართვის სახელმძღვანელო. გარდა ამისა, ქსს-ს გარდამავალი გეგმა ხაზს უსვამს #220-ე დადგენილების გადახედვის/განახლების აუცილებლობას, თუ / როდესაც გადაწყდება ქსს-ს მანდატის, როლებისა და პასუხისმგებლობების გაფართოების საკითხი. (5) *გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ ქსს-ს ფუნქციონირებისათვის რესურსების მობილიზების საჭიროებაზე ძირითადი დაინტერესებული მხარეებისა და ქსს-ს წევრების ცნობიერების / გაგების გაღრმავება* - საზედამხედველო კომიტეტთან შეხვედრისას განხილულ იქნა რესურსების მობილიზაციის დაწყების, მათ შორის ქსს-ს ბიუჯეტის მომზადების საკითხი. აღნიშნულის დაგეგმვა შესაბამის წლებში, დროულად, მთავრობის მიერ ბიუჯეტის დამტკიცებამდე უნდა მოხდეს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, სადაც პასკ-ს განსაკუთრებული როლი ენიჭება. (6) *ქსს გარდამავალი პროცესის მონიტორინგის სისტემის*

შემუშავება - სამოქმედო გეგმა გამოყენებული იქნება მონიტორინგისთვის. გეგმაში მოცემულია ინდიკატორები თითოეული აქტივობისთვის. სამოქმედო გეგმის რევიზია განხორციელდა გასულ კვირას საზედამხედველო კომიტეტთან შეხვედრის დროს. მონიტორინგზე პასუხისმგებლობა საზედამხედველო კომიტეტს ეკისრება. დასასრულს ქ-ნმა სანამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა ცოცხალი დოკუმენტია და მისი გადახედვა/განახლება ყოველწლიურად მოხდება.

ქ-ნმა ია ყამარაულმა ითხოვა განმარტებას, სამოქმედო გეგმის 4.4 აქტივობასთან დაკავშირებით: აქტივობა 4.4 - სხვა შესაბამის დოკუმენტებთან (მაგ, ეროვნული პროგრამები, გაიდლაინები და ა.შ.) მისადაგება ქსს-ს გაფართოებული როლის შესაბამისად.

ქ-ნმა სანამ უპასუხა, რომ აღნიშნული აქტივობა განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც / თუ მოხდება გადაწყვეტილების მიღება ქსს-ს როლის გაფართოებასთან დაკავშირებით, მაგალითად, C ჰეპატიტის საკითხის დამატება საბჭოს მანდატში. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს ქსს-ს, პასკ-ის, საზედამხედველო კომიტეტის, მართვის სახელმძღვანელოსა და ყველა რელევანტურ დოკუმენტში და მოხდეს ახალი როლებისა და პასუხისმგებლობების ასახვა.

შეხვედრის დასასრულს **ბ-ნმა ტიმ კლერიმ** აღნიშნა, რომ მიმდინარე ვიზიტი ბოლოა მათი საკონსულტაციო სამუშაოს ფარგლებში, რომელიც მთავრდება 2020 წლის აპრილში. ამ პერიოდამდე კონსულტანტები ონლაინ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას, გადახედავენ / განახლებენ ქსს-ს არსებულ საორიენტაციო პაკეტებს და სამდივნოს კომპეტენციათა სფეროს დოკუმენტს. მან დამსწრე საზოგადოებას მიმართა თხოვნით, იფიქრონ ტექნიკური დახმარების დამატებით საჭიროებებზე და შეთავაზებები, არსებობის შემთხვევაში გაუზიარონ საბჭოს სამდივნოს. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველო შესაძლოა გახდეს გლობალური ფონდის ქსს-ები ევოლუციის ინიციატივების მონაწილე, მაგრამ ამ ეტაპზე დეტალები ჯერ არ არის ცნობილი.

ქ-ნმა სანამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ქსს-ს შეუძლია იყოს პროაქტიული, დაუკავშირდეს გლობალური ფონდის პორტუგალიის მენეჯერს და დააფიქსიროს ევოლუციის ინიციატივებში მონაწილეობის საჭიროება / სურვილი.

შეხვედრის დასასრულს, კომიტეტის წევრებმა მადლობა გადაუხადეს კონსულტანტებს საქართველოს ქსს-ს განვითარებაში შეტანილი უდიდესი ძალისხმევებისთვის და გამოხატეს ქსს ევოლუციის შემდგომი ინიციატივების განხორციელების პროცესში მათი მხარდაჭერის მიღების სურვილი.

ბ-ნმა ტიმ კლერიმ შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მონაწილეობისათვის.

ძირითადი გადაწყვეტილებები:

- ყველა განხილული საკითხი წარდგენილ იქნება საბჭოს შეხვედრაზე 2019 წლის 11 დეკემბერს;

- პასკ-ის წევრები შეიმუშავებენ დამატებითი ტექნიკური დახმარების მიმართულებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და გაუზიარებენ საბჭოს სამდივნოს;
- კონსულტანტები განაგრძობენ ტექნიკურ მხარდაჭერას 2020 წლის აპრილამდე ონლაინ რეჟიმში.

ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი